



MES 6 23 0001735811



19/12/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 05. 12. 2023**

**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 19:21 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**

**საბჭოს მდივანი: რატი რატიანი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- 4. ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
- 5. ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურზიმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
- 6. ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
- 7. მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
- 8. ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

9. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
11. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
12. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო დაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
17. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
18. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

სახელი, გვარი	სტატუსი
თემური თექთუშანიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ალავიძე	შპს ალტე უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	I
2	ირმა ნოზაძე		საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი	I
3				I

	გიორგი აბაშიშვილი		ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანი	
4	კობა არაბული		ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანი	I
5	ანანო სამსონაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ქორეოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი	II
6	ნატო გენგიური		სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
7	გიორგი ცქიტიშვილი		პროფესორი, თეატროლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II
8	მარინე (მაკა) ვასაძე		ასოცირებული პროფესორი თეატროლოგიის მიმართულებით	II
9	ზვიად დოლიძე		პროფესორი, კინომცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II
10	ლელა ოჩიაური		პროფესორი, კინომცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II
11.	ლელა ვეფხვაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი	II

## აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	მერაბ ხოხობაია	I
2	ეკა დევიძე	I
3	ნატალია თვალჭრელიძე	II
4	სოფიო თავაძე	II
5	ია ნაცვლიშვილი	II
6	გიორგი არქანია	II

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "თეატროლოგიის" საბაკალავრო, "თეატროლოგიის" სამაგისტრო, "თეატროლოგიის" სადოქტორო, "კინომცოდნეობის" საბაკალავრო, "კინომცოდნეობის" სამაგისტრო, "კინომცოდნეობის" სადოქტორო, "ეთნო-ქორეოლოგიის (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა)" სამაგისტრო და "ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა თემურ თექეთუმანიძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი 05 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე არ განხილულიყო, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებამ მომართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს და ითხოვა აღნიშნული საკითხის განხილვის გადადება, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი იმყოფებოდნენ მივლინებაში. ასევე, თემურ თექეთუმანიძემ

განაცხადა, რომ არის შუამდგომლობა სსიპ - ქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "თეატროლოგიის" საბაკალავრო, "თეატროლოგიის" სამაგისტრო, "თეატროლოგიის" სადოქტორო, "კინომცოდნეობის" საბაკალავრო, "კინომცოდნეობის" სამაგისტრო, "კინომცოდნეობის" სადოქტორო, "ეთნო-ქორეოლოგიის (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა)" სამაგისტრო და "ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - ქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

**1. პირველი საკითხი:** შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 25 მაისის N 545072 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დამუშავების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის	

10	საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015 Travel, Tourism and Leisure
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-ს სასწავლო კორპუსი N 1 და N 8; 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა მერაბ ხოხობაიამ აღნიშნა, რომ დასკვნა ეხებოდა ორ რეკომენდაციას. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსს, „საქართველოს ეთნოგრაფია“, რომელზეც ლიტერატურა უნდა განახლებულიყო. მეორე რეკომენდაცია საბაკალავრო ნაშრომებთან იყო დაკავშირებული, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ნაშრომის სტანდარტების მიხედვით შესრულების მიზნით სილაბუსს დამატებოდა აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების ელემენტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია, კერძოდ, პირველი რეკომენდაციის შესაბამისად ლიტერატურა განახლდა. მეორე რეკომენდაციასთან შესაბამისობით სილაბუსი მოდიფიცირდა, დეტალურად განისაზღვრა საბაკალავრო ნაშრომის ელემენტები შემდეგი თანმიმდევრობით: შესავალი, ლიტერატურის ანალიზი, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გააგრძელებს განვითარებასა და წინსვლას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრების მიერ არ იქნა წარმოდგენილი დამატებითი მოსაზრებები/კითხვები.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა შეფასების პროცესის ფარგლები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმოება ეხებოდა დაწესებულების მიერ 60 დღის ვადაში რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენას. დამატებით აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციის ნაწილის შესახებ ცვლილებები დაწესებულებას უკვე დაწყებული ჰქონდა წინა საბჭოს სხდომის ჩატარების დროისთვის, მიმდინარე სხდომისთვის კი, რეკომენდაციების შესრულება დასტურდება მტკიცებულებებითაც, რომელიც სილაბუსის სახით არის წარმოდგენილი. რეკომენდაციები დაწესებულებამ შეასრულა ვადების დაცვით.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:20**

**დასრულების დრო: 14:30**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**მეორე საკითხი:** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "თეატროლოგიის" საბაკალავრო, "თეატროლოგიის" სამაგისტრო, "თეატროლოგიის" სადოქტორო, "კინომცოდნეობის" საბაკალავრო, "კინომცოდნეობის" სამაგისტრო, "კინომცოდნეობის" სადოქტორო, "ეთნო-ქორეოლოგიის (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა)" სამაგისტრო და "ქორეოლოგიის

(ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატროლოგია, Theatre Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N337, 25.11.2011 წელი.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შიდა ტური
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თეატროლოგიაში; Bachelor of Arts in Theater studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო  თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატროლოგია, Theatre Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული



4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N283, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეატროლოგიის მაგისტრი, Master of Theater studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო  თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატროლოგია, Theatre Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N288, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	

		შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში; გამოცდა-გასაუბრება კომისიასთან.
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეატროლოგიის დოქტორი, Doctor of Theater studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო  თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინომცოდნეობა, Film Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N337, 25.11.2011 წელი.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შიდა ტური
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კინომცოდნეობაში, Bachelor of Arts in Film studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო  თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინომცოდნეობა, Film Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N283, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	კინომცოდნეობის მაგისტრი, Master of Film studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო  თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
----	---	---

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინომცოდნეობა, Film Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N288, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში; გამოცდა-გასაუბრება კომისიასთან.
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	კინომცოდნეობის დოქტორი, Doctor of Film studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეთნო-ქორეოლოგია (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა), Ethno-Choreology (History, theory and criticism of Georgian choreography)
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N283, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, Master of Choreology
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქორეოლოგიის მაგისტრი, Master of Choreology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქორეოლოგია (ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა), Choreology (Choreographic Art Research)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N288, 02.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია)

6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში; გამოცდა-გასაუბრება კომისიასთან.
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქორეოლოგიის დოქტორი, Doctor of Choreology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, Music and Performing Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის №19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის №40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრების აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრების თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს ლაშა ჩხარტიშვილმა და თინათინ ჭაბუკიანმა.

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა  
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა რამუნე ბალევიჩიუტემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მოხიბლულია დაწესებულების მხრიდან გამოვლენილი თავდადებითა და მონდომებით სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმართ. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ არსებობს გარკვეული შეზღუდვები ბიუჯეტთან და ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია ინტერნაციონალიზაციის გაზრდა, განსაკუთრებით, ლიტერატურის და კვლევის საკითხებში. ასევე როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის ჩართვა ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში კვლევითი აქტივობები უნდა გაძლიერდეს. დაწესებულება არაერთ აქტივობას ახორციელებს, თუმცა ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარების მიმართულებით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ უნდა წახალისდეს აკადემიური პერსონალი, რათა ჩაერთონ საერთაშორისო გრანტებში. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია საკმაოდ დეტალურია, ექსპერტებმა შეისწავლეს ის და შეიტანეს გარკვეული ცვლილებები.

## **სახკოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ანა სამსონაძემ განმარტა, რომ კლასტერი, რომელიც „სახელოვნებო მეცნიერებების“ სახელით არის გაერთიანებული პირდაპირ არის უნივერსიტეტის სასწავლო მისიის ერთ-ერთი განმახორციელებელი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, როგორც პრაქტიკულ, ისე კვლევით ჭრილში. დაწესებულება ზოგიერთ რეკომენდაციას არ ეთანხმება, ზოგს ნაწილობრივ ეთანხმება და მადლობელია, რომ ექსპერტებმა არგუმენტირებული პოზიცია რიგ შემთხვევებში გაითვალისწინეს. დაწესებულების აზრით, ექსპერტთა დასკვნაში უნდა აღინიშნოს, არამარტო დაწესებულების სისუსტეები, არამედ, უნივერსიტეტის მიღწევებიც. წარმომადგენლის ხედვის მიხედვით, უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკა აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომელიც დასკვნაში არ ჩანდა. წარმომადგენლის აზრით მნიშვნელოვანია დაწესებულებს მიღწევების აღწერაც სრული სურათის შექმნისთვის. ანა სამსონაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით ექსპერტებს არ მიეწოდათ გარკვეული დოკუმენტები, მაგრამ მისი განმარტებით, მოთხოვნილი დოკუმენტები სრულად იქნა გაგზავნილი, ასევე არსებობს წერილი გაგზავნილი დოკუმენტაციის ნუსხით. ინგლისურენოვან დოკუმენტებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშის დანართით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი იქნა ინგლისურ ენაზე გაგზავნილი. წარმომადგენლის განმარტებით, დასკვნაში იყო ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები. კერძოდ, მან დაასახელა ერთ-ერთი: დაწესებულებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რატომ არ შეფასდა უმაღლესი შეფასებით ისეთი კომპონენტები, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფს არ გაუცია რეკომენდაცია. ასევე აღნიშნა, რომ ასეთი ფორმის დასკვნაზე მუშაობა დაწესებულებისთვის აღმოჩნდა რთული, რადგან დასკვნის სტრუქტურა არ იძლევა ნათელ წარმოდგენას თითოეული კომპონენტისა და სტანდარტის შეფასებაზე. საბოლოოდ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს, რომლებსაც ისინი დაეთანხმნენ, აუცილებლად გაითვალისწინებენ და აფასებს უნივერსიტეტის გარე შეფასებებს.

დაწესებულების წარმომადგენელი ნატო გენგიური დაეთანხმა კოლეგას ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკის აღნიშვნა დასკვნაში უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან, მათ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს, მათ შორის საერთაშორისო მიმართულებით და ასევე განსახილველ კლასტერში შემავალი კურსები საქართველოში ერთადერთია, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. შესაბამისად, ყველა წინ გადადგმული ნაბიჯი ატარებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ დასკვნის მიხედვით უნივერსიტეტს თითქოს საერთოდ არ აქვს რაიმე ნაბიჯი გადადგმული საერთაშორისო ჩართულობისკენ. დაწესებულება ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში. მათ კონფერენციაში მონაწილეობენ კავკასიის რეგიონის, პოსტსაბჭოთა და ევროპული ქვეყნების

წარმომადგენლები, მათი მეცნიერები არიან რედაქტორები და იბეჭდებიან უნივერსიტეტის ორენოვან ჟურნალში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გია ცქიტიშვილმა, როგორც თეატროლოგიის პროგრამების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, თეატროლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო მიზნები ნათლად და დეტალურად უნდა იყოს გაწერილი. მან აღნიშნა, რომ არ ეთანხმება რეკომენდაციას, რადგან მიზნები ნათლად და ზუსტად არის გაწერილი და ჩამოყალიბებული. ანალიზის ნაწილში მითითებული ფრაზა კი კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების კლასიფიკაციის გადახედვას. მისი განმარტებით, ამ რეკომენდაციას დაწესებულება გაითვალისწინებს და მკაფიო ფორმულირებას მოუძებნის. მომდევნო რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგების ფორმულირებას, რათა ისინი გახდეს გაზომვადი. დაწესებულებას მიაჩნია, რომ სწავლის შედეგები ამომწურავია და ნათლად არის ყველაფერი გაწერილი. მათ შორის, თავად ექსპერტების აღიარებით სწავლის შედეგებით არსებითად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მაგრამ მაინც შეეცდებიან გაითვალისწინონ რეკომენდაცია. შემდეგი რეკომენდაცია დოქტორანტურის საფეხურზე თეატროლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისა და კლასიფიკაციის გადახედვას ეხებოდა. დასკვნის მიხედვით, სწავლის შედეგების აღწერა მკაცრად მეთოდური არ არის, მხოლოდ აღწერითია. დაწესებულების პოზიციის მიხედვით, აღნიშნული აღწერითიცაა და მეთოდურიც, რაც პრაქტიკაშიც ჩანს, რადგან წარმომადგენლის განმარტებით, შეუძლებელია სხვა გზით სწავლის შედეგების მიღწევა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს კავშირები სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან მომიჯნავე და საერთო სფეროებში. საერთაშორისო განზომილების დამატების თაობაზე რეკომენდაციის შესახებ წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ნაშრომები, რომლებიც უნივერსიტეტის სახელით იქმნება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია. მანაც მიუთითა დასკვნაში გარკვეული ტექნიკურ უზუსტობებთან დაკავშირებით, კერძოდ რეკომენდაციების თაობაზე, რომელიც შინაარსობრივად დუბლირებულია.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის ნატო გენგიურის განმარტებით, 1.3 რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულებას შედეგების რუკაში უნდა მიეთითებინა სამივე დონის სასწავლო კურსები. ეს რეკომენდაცია ეხებოდა ყველა პროგრამას, წარმომადგენლის პოზიციის მიხედვით კი შეუძლებელია ყველა პროგრამას შეხებოდა ეს შენიშვნა და საჭირო იყო დიფერენცირება. ვინაიდან ზოგიერთ პროგრამაში, მაგალითად ქორეოლოგიის პროგრამაში ამ პრინციპით არის სწავლის შედეგების რუკა შედგენილი. მომდევნო რეკომენდაცია სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას ეხებოდა კურსის დონეზე. მან აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციას არ იზიარებენ, ვინაიდან არცერთი სტანდარტი არ ითხოვს კურსის დონეზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას. სამიზნე ნიშნულები მითითებულია სწავლის შედეგების ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზვიად დოლიძემ მიუთითა რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც კინომცოდნეობის დარგში უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და სხვადასხვა რეგიონების ექსპერტებთან თანამშრომლობა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამისთვის ჩადებულია დიდი ძალისხმევა ბოლო წლების განმავლობაში, კერძოდ: იდება ხელშეკრულებები სხვა სასწავლო/საკვლევო დაწესებულებებთან, დისერტანტებს ევალებათ მინიმუმ ერთი უცხოელი ექსპერტთან თანამშრომლობით მოამზადონ ნაშრომი; 2023 წლის ოქტომბერში ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიასთან უნივერსიტეტმა დაიდო ხელშეკრულება, არის ურთიერთობები ყაზახეთთან, ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან. თანამშრომლობით იმართება კონფერენციები, ექსპერტიზები. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი უნივერსიტეტს მცირე აქვს, მაინც ხერხდება საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა. უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ -ის გაცვლით პროგრამაში, პროექტ Connect-ში. რომის ცეკვის აკადემიასა და ჩინეთის ხელოვნების აკადემიასთან უნივერსიტეტებთან აქვს უნივერსიტეტს კონტაქტები, ჯამში აქვს 40 საერთაშორისო ხელშეკრულება დადებული. ერთადერთი, რაც ხელს უშლის უნივერსიტეტს საერთაშორისო



ურთიერთობების უფრო მეტად განვითარებაში, არის ფინანსური საკითხი. სადაც შესაძლებელია, სტუდენტები დისტანციურად, ონლაინ ესწრებიან საერთაშორისო ღონისძიებებს. სხდომის თავმჯდომარე ჩაეკითხა წარმომადგენელს, თუ რამდენ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაცვლითი პროგრამით ისარგებლოს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაახლოებით 5-10 სტუდენტის გაგზავნა შესაძლებელია. ჯამში ფაკულტეტზე არის 260 სტუდენტი, თუმცა, ეს რიცხვი მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, სპეციალობებით, ამიტომ საბოლოოდ 5-10 სტუდენტის არჩევა ხდება რამდენიმე ათეული სტუდენტიდან. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფინანსებს. თეორიული ფაკულტეტები შედარებით ნაკლებად, მაგრამ კინოსა და დრამის ფაკულტეტი აქტიურად ჩანს საერთაშორისო ღონისძიებებზე და წარდგენილიც იყო საერთაშორისო ფესტივალზე. ერთ-ერთი რეკომენდაცია უკავშირდებოდა უცხოენოვანი ლიტერატურის შეტანას სასწავლო პროგრამაში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად ქართულად არც არსებობს ლიტერატურა და უმეტესწილად გამოიყენება უცხოენოვანი ლიტერატურა. ლიტერატურა ახლდება დროთა განმავლობაში, ახალი იწერება და სილაბუსს ემატება. ყველა სილაბუსში არის უფრო მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა ვიდრე ქართული. მომდევნო რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა კვლევის ხარისხის ამაღლება პერსონალის და მაგისტრანტების ინდივიდუალური კვლევის დონეზე. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ზოგადია, რადგან დაწესებულება მუდმივად ახორციელებს ამ მიმართულებით მუშაობას, კერძოდ: ტარდება კოლოკვიუმები, ხდება წლიური და სადისერტაციო ნაშრომების განხილვა, დარგობრივად დოქტორანტები მუდმივად არიან ჩართულები მსგავს განხილვებში. აქედან გამომდინარე, იგი თვლის, რომ დაწესებულებას აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული აქვს.

შემდეგ რეკომენდაციაზე საუბარი განაგრძო ინსტიტუციის წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა. ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 6 სემესტრის განმავლობაში ბაკალავრიატზე ისწავლება ინგლისური ენა. პროგრამაში არის სილაბუსი ყველა დონისთვის, რომელშიც სტუდენტი ცოდნის დონის შესაბამისად ერთვება ჯგუფში. რეკომენდაციის მიხედვით, თუ სტუდენტს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება, უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს ინგლისურენოვანი კურსები. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსების შეთავაზება აკრედიტაციის ფარგლებს ცდება, ვინაიდან აკრედიტაციის საკითხი არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ საკითხზე და კურსების შეთავაზება სხვა საორგანიზაციო საკითხებთან არის დაკავშირებული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო საფეხურზეც კვლევით კომპონენტში უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებაზე კურსი არსებობს, მსგავსი კურსია დოქტორანტურაზეც, აქედან გამომდინარე ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებაზე უნივერსიტეტი ზრუნავს. შესაბამისად, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ თვალსაზრისით პრობლემები არ აქვს. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ვასაძემ განაგრძო თეატროლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესახებ რეკომენდაციაზე საუბარი. რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულებას ესაჭიროება ახალი კვლევის შედეგებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება. წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსში ასახულია რეკომენდაციით გათვალისწინებული საკითხი. ისტორიის შესწავლა დაწესებულებაში მითოლოგიით იწყება, შემდეგ ანტიკურ ხანას სწავლობენ სტუდენტები და მოდიან უახლეს ისტორიამდე, სადაც აუცილებლად ისწავლება ახალი კვლევის შედეგები და სამეცნიერო მიღწევები. რადგანაც ლიტერატურა ცოტაა ქართულად, უნივერსიტეტის გამომცემლობამ მსოფლიო თეატრზე 5-ტომეული თარგმნა. გარდა ამისა ყოველწლიურად ითარგმნება წიგნები, სტატიები, რაც ცალსახად, იმის ნიშანია, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს ფეხი აუწყოს მიმდინარე პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, ისინი არ იზიარებენ ამ რეკომენდაციას. მომდევნო რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა უნივერსიტეტმა მეტი პრაქტიკული სამუშაოები მიაწოდოს სტუდენტებს და პროფესიულ გარემოსთან მეტი კონტაქტი უზრუნველყოს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თეორიული ფაკულტეტების სტუდენტებიც

კი ჩართულნი არიან პრაქტიკულ აქტივობებში. საშემსრულებლო ფაკულტეტებისთვის უნივერსიტეტს ორი სცენა აქვს, სადაც მუდმივად ერთვებიან სტუდენტები რეპეტიციების, სპექტაკლის განხილვა-ანალიზის პროცესებში. გარდა ამისა, ბაკალავრის საფეხურზე უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს კინოფესტივალებზე არამარტო დასწრებაში, არამედ ჟიურის წევრად მონაწილეობის მიღებაში. მიმდინარედ, ორი სტუდენტი, ერთი ბაკალავრიატის, ხოლო მეორე დოქტორანტურის, არიან ყოველწლიური ჟიური თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კინოფესტივალზე. ასევე სტუდენტებს აქვთ საიტი [theatre.life.ge](http://theatre.life.ge), სადაც სტუდენტები თავიანთ ნამუშევრებს ბეჭდავენ და ანაზღაურებასაც კი იღებენ. გარდა ამისა უნივერსიტეტს აქვს გაზეთი „დურუჯი“, სადაც ასევე იბეჭდება სტუდენტების ნამუშევრები. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, უნდა მოხდეს მიღწევის დონის უზრუნველყოფა, რომ იგი შეესაბამებოდეს მაგისტრატურის დონეს და შინაარსი ბაკალავრიატიდან არ მეორდებოდეს. დაწესებულების პოზიციის მიხედვით, შესაძლოა საგნები და საკითხები განმეორდეს ბაკალავრიატიდან, მაგრამ მაგისტრატურის საფეხურზე ხდება საკითხის უფრო ღრმად და ვრცლად შესწავლა, ვიდრე ბაკალავრიატზე. თანამედროვე თეატრის და დრამის თეორიების დისკურსის უზრუნველყოფის და ლიტერატურის განახლების შესახებ რეკომენდაციებზე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ უზრუნველყოფილი აქვთ აღნიშნული საკითხი და წინა მსჯელობაში უკვე იყო განვრცობილი ეს საკითხები.

გია ცქიტიშვილმა განაგრძო საუბარი თეატროლოგიის პროგრამის შესახებ. რეკომენდაციის მიხედვით, თეატროლოგიის დოქტორანტურის საფეხურზე უნდა გამოიკვეთოს ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის კომუნიკაცია. წარმომადგენლის განმარტებით, დოქტორანტურის საფეხურის პირველი სამი სასწავლო წელი სილაბუსით არის გაწერილი და გათვალისწინებულია შეხვედრები, ლექციები, მასალაზე და თარგმანზე მუშაობა, წყაროების შეგროვება და ა.შ., შესაბამისად სილაბუსი ადგენს ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ურთიერთობის სამ წელს დეტალურად, ხოლო დამატებითი ორი წლისთვის, თუ დასჭირდა სტუდენტს, დგება ინდივიდუალური გრაფიკი, რადგანაც დაცვის პროცესი დამოკიდებულია თვითონ სტუდენტზე.

ექსპერტმა რამუნე ბალევიჩიუტემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი კარგად იყო მომზადებული სხდომისთვის არგუმენტებით. უნივერსიტეტის და საბჭოს პრეროგატივაა გაითვალისწინებენ თუ არა რეკომენდაციებს. მან განმარტა, რომ რეკომენდაციების მიზანი არ ყოფილა დაწესებულების პრობლემებზე მითითება. ეს შეფასება დაეხმარება უნივერსიტეტს გააუმჯობესონ აქტივობები. ექსპერტმა განმარტა, რომ თუ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ლიტერატურა საკმარისი არ არის უნივერსიტეტში, ხოლო დაწესებულება ამტკიცებს საწინააღმდეგოს, ასე საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი გახდება. მან აღნიშნა, რომ ამ მდგომარეობით, შედარებისთვის, სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებს ბევრად უფრო მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა აქვთ. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების დანიშნულება არ არის სადამსჯელო და არ ატარებს ნეგატიური ხასიათს, ვინაიდან მიზანი გარკვეული ასპექტების გაუმჯობესებაა. შესაბამისად, უნივერსიტეტის ამბიციის საკითხია, სურს თუ არა გახდეს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი საერთაშორისო ბაზარზე. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ნახსენებ შეფასებებთან დაკავშირებულ უზუსტობებზე, ექსპერტმა გააკეთა განმარტება, რომ როდესაც კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი, ამ შემთხვევაში გაცემულია ან ინდივიდუალური ან კლასტერთან მიმართებით რეკომენდაცია. სამი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობით შეფასდა, ორი კი სრული შესაბამისობით, ამიტომ აღნიშნული ვერ იქნება შეცდომა, თანაც, დასკვნა არაერთხელ გადამოწმებულია ექსპერტების მიერ. ექსპერტმა აღნიშნა, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობისას მოხდა შეთანხმება, რომ აქ შესაძლოა იყოს თარგმანის პრობლემა. უნივერსიტეტმა განაცხადა ზოგიერთი კურსის შესახებ, რომ მათ არ აქვთ კურსი მსგავსი დასახელებით, რაც სწორედ თარგმნის პრობლემაზე მიუთითებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა გია ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიხედვით სადისერტაციო თემები კონსერვატიულია და კარგი იქნება უფრო თანამედროვე თემების

არსებობა. დაწესებულების განმარტებით, რადგანაც უნივერსიტეტი მხოლოდ დასავლურ და მსოფლიო თეატრის ისტორიას არ ასწავლის და სტუდენტები შეისწავლიან ქართული თეატრის ისტორიასაც, შესაძლოა აღნიშნული ჩანდეს მოძველებულად, მაგრამ ყოველივე ეს, დაწესებულების პოზიციის მიხედვით, წარმოადგენს ფუნდამენტს. საბოლოოდ, თემის არჩევა მაინც სტუდენტის სურვილის მიხედვით ხდება. ამის შემდეგ არჩეული თემა გადის რამდენიმე ეტაპს და შემდგომ მტკიცდება სადისერტაციო საბჭოზე. ამიტომ, იგი არ იზიარებს ამ რეკომენდაციას. ინტერნაციონალიზაციის ჭრილში, დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გერგიურმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი არა ურჩევს, არამედ ავალდებულებს სტუდენტებს მინიმუმ სამი ნაშრომი გამოაქვეყნონ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში. უცხოელი ექსპერტის დასკვნის გარეშე დისერტაციას ასევე ვერ დაიცავს სტუდენტი. დასკვნაში მითითებულია, რომ ექსპერტებს არ მიეწოდათ უცხოელი ექსპერტების დასკვნები, მიუხედავად იმისა, რომ მისი განმარტებით დაწესებულების მიერ გაზიარებულია. სადოქტორო საფეხურისათვის შესაბამისი კვლევის მეთოდებისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი სასწავლო კურსის მომზადებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა მოიცავს ამ უნარ-ჩვევების და კვლევის მეთოდების განვითარებას საფუძველშივე, სხვა შემთხვევაში არ მიიღწევა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და მათ ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი აქვთ. შესაბამისად ისინი ამ რეკომენდაციასაც არ იზიარებენ. ამ სასწავლო კურსთან დაკავშირებით ექსპერტმა სოფიო თავაძემ განმარტა, რომ დოქტორანტურის საფეხურზე განხილული კურსი არჩევითია. იგულისხმებოდა კონკრეტულად სადოქტორო საფეხურისთვის ამ კურსის მომზადება და არ იგულისხმებოდა ის, რომ ამ საფეხურს საერთოდ არ აქვს კვლევითი კომპონენტი. კურსის ხელმძღვანელმა, თამარ ვეფხვაძემ ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება, რომ ეს კურსი ერთი და იგივეა სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებისთვის, მაგრამ სავალდებულოა მხოლოდ სამაგისტრო საფეხურზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს არ აქვს აკადემიური წერის კურსი შესწავლილი, მისთვის ეს კურსი დოქტორანტურის საფეხურზე „სავალდებულო არჩევითი“ ხდება, ხოლო სტუდენტებს, რომლებმაც შეისწავლეს აკადემიური წერა მაგისტრატურის საფეხურზე, უნივერსიტეტი ამ საგანს აღარ სთავაზობს სავალდებულოდ მათ. ისი პოზიციით, შესაძლებელია ცალ-ცალკე კურსების მომზადება, თუმცა ამ შემთხვევაში შინაარსის დუბლირება მოხდება და არ არის მიზანშეწონილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანა სამსონაძემ აღნიშნა, რომ "ქორეოლოგიის" სადოქტორო კურსთან დაკავშირებით გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, კურსი საჭიროებს მეტი სპეციალისტის ჩართვას, ინტერნაციონალიზაციას, კვლევის გაძლიერებას და სიახლეებით უზრუნველყოფას. წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგანაც ქორეოლოგია ახალი მეცნიერებაა, სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტს ჰყავს 4 სპეციალისტი ქორეოლოგიის დარგში და დარგობრივად სხვა სფეროებიდანაც ხდება სპეციალისტების მოწვევა, რაც მათი გადმოსახედიდან საკმარისი რაოდენობაა იმისთვის, რომ დარგი და პროგრამა განვითარდეს. ინტერნაციონალიზაციის ჭრილში დაწესებულების მხრიდან არაერთხელ გაესვა ხაზი ურთიერთობას არაერთ უნივერსიტეტთან. დეტალურად არგუმენტირებულ მსჯელობაშია აღნიშნული, თუ რამდენად ნაყოფიერად მუშაობს ქორეოლოგიის მიმართულება. იქვე, წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა შეცდომას დასკვნაში, კერძოდ, 1.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემულია რეკომენდაცია, რომელიც თავად ფორმულირების მიხედვით არ ეხება ქორეოლოგიასა და ეთნო-ქორეოლოგიას, თუმცა კომპონენტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი. ექსპერტი ია ნაცვლიშვილის განმარტებით, ამ კომპონენტთან მიმართებით ერთი რეკომენდაცია მართლაც არ ეხებოდა აღნიშნულ პროგრამებს, თუმცა შეფასება მეტწილად შესაბამისი დარჩა, ვინაიდან მეორე რეკომენდაცია სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით ეხებოდა ამ პროგრამებსაც. დაწესებულების წარმომადგენლის ანა სამსონაძის განმარტებით, სამიზნე ნიშნულები გაკეთებულია მთლიანად პროგრამასთან მიმართებაში და არა კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის განახლება რა თქმა უნდა მუდმივი პროცესია, თუმცა არაერთ წიგნი იწერება ან ითარგმნება და მუდმივად ხდება ბიბლიოთეკის შევსება. მან ისაუბრა თეატროლოგიის სამივე საფეხურის მიმართებაზე და განმარტა, რომ მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ საბაკალავრო საფეხურზე ზოგადი კურსები ისწავლება. სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ღრმავდება ცოდნა და ხდება მკვლევარის უნარ-ჩვევების შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, კერძოდ რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - რაციონალურად განისაზღვროს კრედიტების რაოდენობას კურსისა და შესასრულებელი დავალებების სირთულის შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ რეკომენდაციას იზიარებს. რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას კერძოდ, რეკომენდებულია „კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების“ სწავლება ჩამოთვლილი კურსების პარალელურად: „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - რათა კურსი დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული დავალებების მომზადებაში. მსგავსი სახელწოდების მქონე კურსი უნივერსიტეტს საერთოდ არ აქვს, მისი მოსაზრებით, აქ იგულისხმება კინო-საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ცალკე უნდა ისწავლებოდეს, სხვადასხვა კურსზე. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, არ არის ამ კურსის სავალდებულობის საჭიროება, იქიდან გამომდინარე, რომ ფაკულტეტზე შეისწავლება მხოლოდ სფეროს საფუძვლები. წარმომადგენლის მიხედვით, ეს რეკომენდაცია გამართლებული იქნებოდა კინოსარეჟისორო მიმართულების ფაკულტეტის შემთხვევაში. დაწესებულება იზიარებს შემდეგ რეკომენდაციას, რეკომენდირებულია სასწავლო კურსების „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - მიზნებისა და შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, უნდა შეიცვალოს ფრაზა „ლექტორის მიერ მოწოდებული ლიტერატურა“ „კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსით“ და ეს ლიტერატურა დაემატოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს არცერთი კურსის სილაბუსში, შესაბამისად, ეს იყო დასკვნის ხარვეზი. ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულ კურსებს უფრო გაღრმავებულად ასწავლიან სამაგისტრო საფეხურზე და ამიტომ მეორდება გარკვეულწილად კურსები. თუმცა, დაწესებულება თვლის, რომ მიზანშეწონილია იგივე საკითხის სამაგისტრო კურსზე უფრო გაღრმავებულად სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც დასწრების შეფასების მოხსნას ეხება. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპონენტი არ მოიცავს მხოლოდ დასწრებას, მოიცავს აქტიურობასაც, ანუ სტუდენტს ქულა არ ეწერება მხოლოდ დასწრებაში. რადგანაც ბაკალავრიატზე ჯგუფში დაახლოებით 10-15 სტუდენტია, მნიშვნელოვანი ხდება დასწრების კომპონენტი. შესაბამისად დაგეგმილი მეცადინეობის ჩატარებისთვის აუცილებელია დასწრება, ხოლო შეფასება ხდება სტუდენტის აქტიურობით. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა პლაგიატის საკითხს, რადგან დასკვნის მიხედვით უნივერსიტეტს არ აქვს პლატფორმა, რომლითაც ნაშრომები პლაგიატზე შემოწმდებიან. წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს Turnitin-ის პლატფორმა, მაგრამ აქვს სხვა პლატფორმები, რომლებიც გამოიყენება და ნაშრომები აუცილებლად მოწმდება პლაგიატზე. სტანდარტის მიხედვით არ არის მოთხოვნილი აუცილებლად Turnitin-ის პლატფორმის არსებობა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები :**

თავმჯდომარის პირველი შეკითხვა ეხებოდა ეთნო-ქორეოლოგიის სადოქტორო პროგრამას. ლიტერატურასთან დაკავშირებით დასკვნაში აღნიშნულია, რომ ლიტერატურა ნაწილობრივ შეესაბამება ქორეოლოგიის დარგში არსებულ მიღწევებს, კერძოდ აკლია ეთნო-ქორეოლოგიისა და ცეკვის ანთროპოლოგიის უახლესი კვლევის დისკურსი. თავმჯდომარემ მიმართა

ექსპერტებს დამატებითი განმარტებისთვის. ექსპერტების მხრიდან პოზიცია არ გაჟღერებულა და თავმჯდომარემ მიმართა, რომ მოგვიანებით გასცემოდა ამ კითხვაზე პასუხი.

საბჭოს წევრმა ნინო ლაღანიძემ სთხოვა ექსპერტებს გაეკეთებინათ განმარტება რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა უცხოენოვან ლიტერატურას და ინტერნაციონალიზაციას. კერძოდ, მიიღწეოდა თუ არა სწავლის შედეგი არსებული სალიტერატურო რესურსით და ინტერნაციონალიზაციით. ექსპერტმა ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე უშუალოდ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მუშაობდა და აქედან გამომდინარე არ აკეთებდნენ ის და მისი სხვა კოლეგები აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით სთხოვა ექსპერტებს განმარტება ლიტერატურის საკითხზე ქორეოლოგიის პროგრამებთან მიმართებით. ექსპერტმა ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე თავმჯდომარე მუშაობდა, რაც შეეხება ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, მან შეამოწმა უშუალოდ ხელმისაწვდომი იყო თუ არა მითითებული ლიტერატურა სტუდენტებისთვის. აღნიშნულ საკითხზე საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და სთხოვა განმარტება ლიტერატურის თაობაზე. კერძოდ დასკვნაში არსებული ჩანაწერთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საგნების დიდი ნაწილი ერთი და იგივე ავტორის მიერ იყო შექმნილი და საჭიროებდა მიდგომათა მრავალფეროვნებას. დაწესებულების წარმომადგენელმა ანა სამსონაძემ საბჭოს განუმარტა, რომ უნივერსიტეტი ქმნის ახალ დისციპლინას ქორეოგრაფიული ანთროპოლოგიის სახით, რომელიც იქმნება უკვე არსებული, აპრობირებული კურსის, თეატრალური ანთროპოლოგიის მაგალითზე. მან განმარტა, რომ გამოწერილია რიდერები და სახელმძღვანელოები აღნიშნულ კურსებთან დაკავშირებით. ასევე დოქტორანტები თარგმნიან საერთაშორისო სტატიებს აღნიშნულ თემატიკაზე. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაზუსტება რომელი წლის პუბლიკაციებზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ლიტერატურა, რომელიც ეხება ქორეოლოგიას, არის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის. თუმცა არის უფრო თანამედროვე ლიტერატურაც ათიანი, ოციანი წლების. მან დააზუსტა, რომ ქორეოლოგიის პროგრამების მიზანია, რომ ქართული ცეკვა შევიდეს იუნესკოს არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. ისინი აკეთებენ ანალიზს მსოფლიოში არსებული არამატერიალური კულტურული ძეგლების და გამოცდილების შესაბამისად ქმნიან მოდელს ქართულ ცეკვის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის საკითხს ამ მიმართულებითაც ცდილობენ რომ განავითარონ.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს დასწრების ქულებთან დაკავშირებით. მან ახსენა, რომ რამდენიმე კურსის სილაბუსში 15 ქულა მხოლოდ აქტივობის კომპონენტში გვხვდება, დასწრების ქულა კი არ არის განსაზღვრული. მან ჰკითხა ექსპერტებს, თუ შესაძლებელი იყო მიეთითებინათ კონკრეტულ სასწავლო კურსებზე, სადაც აღნიშნული პრობლემა ფიქსირდებოდა. მომდევნო კითხვა შეეხო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში და პროგრამებში ჩართულობას. ექსპერტების მიმართ დასმული შეკითხვა მდგომარეობდა შემდგომში: ხომ არ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა აღწერასა და შეფასებას შორის, ვინაიდან აღწერის ნაწილში დადებითად არის შეფასებული აღნიშნული საკითხი, თუმცა, შემდგომ გაცემულია რეკომენდაცია. ასევე საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა ჩანაწერი მკაცრად რეკომენდებულია, რაც მისი აზრით, სავარაუდოდ თარგმანის შეცდომა უნდა ყოფილიყო. ასევე ფიქსირდებოდა ჩანაწერი ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამასთან დაკავშირებით, რაც ასევე ტექნიკური ხარვეზი უნდა ყოფილიყო.

დასწრების შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება, თუ სრულიად ამოიღებს უნივერსიტეტი სილაბუსებში დასწრების კომპონენტს. ერმილე მესხიამ ასევე კითხვა დასვა სტუდენტთა კვლევითი აქტივობების განვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მან ჰკითხა ექსპერტებს, თუ რამ განაპირობა აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა. საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, კერძოდ მათ გარკვეულ პროგრამებთან მიმართებით

გათვალისწინებული ჰქონდათ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. საბჭოს წევრმა იკითხა, თუ როგორ ხედავდნენ ისინი პედაგოგიკის სასწავლო კურსს, როგორ შეიძლება კურსდამთავრებულებმა აღნიშნული კურსი გამოიყენონ. ანა სამსონაძის განმარტებით, პედაგოგიკის ზოგადი კურსი ხელს უწყობს უნივერსიტეტს თვითონვე გაზარდოს თავისი პედაგოგები, ხოლო მომდევნო კურსი, უმაღლესი განათლების პედაგოგიკა, ორიენტირებულია უმაღლესი სასწავლებლის ტექნიკურ ნაწილზე: მაგალითად, სილაბუსების შექმნაზე, და ასევე, წარმოადგენს უფრო გაღრმავებულ კურსს. ერმილე მესხიამ აგრეთვე იკითხა რამდენიმე ნაწილიან სასწავლო კურსებთან მიმართებით. საბჭოს წევრის შეკითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ არეგულირებს ამ საკითხს უნივერსიტეტი და შეუძლიათ თუ არა სტუდენტს აირჩიოს მაგალითად პირდაპირ მეორე ნაწილი.

ანა სამსონაძის განმარტებით, ისტორიის საკითხებთან მიმართებით წინაპირობა არ არსებობს. თუ საკითხი ეხება კრიტიკას, აქ არსებობს შესაბამისი წინაპირობები. ანალიზთან დაკავშირებით კითხვაზე პასუხის გაცემას შეძლებდა თეატროლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი. მომდევნო შეკითხვა თეატროლოგიის სადოქტორო კურსს ეხებოდა, რომელზეც ქართული თეატრის ისტორიის გავლა ორ საფეხურად არის პროგრამაში მოხვედრის წინაპირობა. შეკითხვის მიხედვით, თუ ამ პროგრამაზე მიდის მაგისტრატურის კურსდამთავრებული, რომელსაც არ აქვს თეატრის მიმართულება გავლილი, როგორ ხდება მისი მიღება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კანდიდატთან ხდება გასაუბრება, სადაც დგინდება მისი ცოდნის დონე ისტორიის საკითხში. თუ მას არ აქვს საკმარისი ცოდნა, თავისუფალი კრედიტის ფარგლებში მიეცემა საშუალება საბაკალავრო საფეხურზე დაესწროს კურსს. საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენელს კიდევ ერთხელ სთხოვა დაეზუსტებინა დასწრება-აქტიურობის საკითხი და რამდენად არსებობდა დასწრების კომპონენტად მოხსენიების აუცილებლობა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტის გამოცხადება ლექციებზე და აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მცირერიცხოვანი ჯგუფებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესს არ შეექმნას საფრთხე. აღნიშნული საჭიროება განსაკუთრებით დგას სამემსრულებლო ნაწილთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ ისინი დაფიქრდებიან და შეიმუშავენ გარკვეულ მექანიზმს. ბოლო კითხვა ეხებოდა ლიტერატურას, თუ რამდენად აქვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას წვდომა საერთაშორისო ბაზებთან. ანა სამსონაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ერთი მხრივ, აქვს წვდომა ELSEVIER-ის ბაზებთან, ხოლო მეორე მხრივ, გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონსორციუმთან.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო:17:08**

**დასრულების დრო: 19:04**

## **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატროლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატროლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები :

## **რეკომენდაციები**

### **1.3. კომპონენტი**

#### **პროგრამული:**

1. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

### **1.5 კომპონენტი**

#### **კლასტერი :**

2. განაახლეთ ლიტერატურა უახლესი წიგნებით, რომლებიც ეხება თეატრის, კინოსა და ცეკვის თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას.

### **4.3 კომპონენტი**

#### **კლასტერი:**

3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურ პროფესიულ განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმის შექმნას და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას.

### **4.4 კომპონენტი**

#### **კლასტერი:**

4. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ჰქონდეს ყველა აუცილებელი (ძირითადი) ლიტერატურა და წიგნები, რომლებიც მითითებულია კურსების სილაბუსებში.

### **5.3 კომპონენტი**

#### **კლასტერი:**

5. რეკომენდებულია, ხარისხის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფად

## **რჩევები:**

### **1.1 კომპონენტი**

#### **კლასტერი:**

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნების სიტყვიერი ფორმულირება, რათა უფრო ზუსტად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებს შორის.

2. პროგრამის მიზნები სასურველია უფრო მეტად დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს.

3. შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრობლემების მხედველობაში მიღება.

**პროგრამული :**

4. ამოცანების სიტყვიერი ფორმულირების გადახედვა.

**1.2. კომპონენტი:**

**კლასტერი:**

5. სწავლის შედეგების განვითარების პროცესში მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

**პროგრამული :**

6. სწავლის შედეგების გაფართოება ისეთი საგნების ჩართვით, როგორცაა ფსიქოლოგია, საჯარო მეტყველება და საჯარო გამოსვლებსა და დებატებში მონაწილეობის კულტურა.

**1.3. კომპონენტი:**

**კლასტერი:**

7. შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად.

8. პროგრამის ერთი სასწავლო შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან გამოიყენეთ კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა.

**1.4 კომპონენტი.**

**კლასტერი :**

9. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის დამყარებით.

10. შეიტანეთ მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა.

11. ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა.

**პროგრამული :**

12. ახალი კვლევის შედეგებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება.

13. სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული საქმიანობის მიწოდება და სწავლის პერიოდში პროფესიულ გარემოსთან მეტი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა.

**1.5. კომპონენტი:**

**პროგრამული:**

14. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობის გათვალისწინება.

15. დამხმარე დისციპლინების შინაარსის თეატრმცოდნეობის სპეციფიკასთან მორგების შესაძლებლობაზე დაფიქრება.

**2.1. კომპონენტი:**

**კლასტერი:**

16. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში დაიწეროს მეტი ყურადღებით, რაც უკეთესად მოგვაწვდის ინფორმაციას პროგრამების შესახებ და თავიდან იქნება აცილებული ტექნიკური ხარვეზები.

17. სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სამაგისტრო გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის განკუთვნილი ტესტებისა და კითხვების ნიმუშები.

**2.2. კომპონენტი**



## **კლასტერი:**

18. გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

19. საჭიროა კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

## **2.3. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

20. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროგრამების მოწვეული მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტმა გააგრძელოს ტრენინგები სწავლებისა და სწავლის მეთოდების მიმართულებით.

## **2.4. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

21. სასურველია, რომ სილაბუსში, 25-ქულიანი დავალებების კომპონენტში, დაზუსტდეს ცალკეული დავალების წილი, ქულები და შეფასების მექანიზმი.

## **3.1. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

22. სასურველია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი გახადოს სწავლებისა და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი (მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციების დროს, მეტი პრაქტიკა ანსამბლებში და ა.შ.). კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების მეტი შესაძლებლობა.

23. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის მასშტაბი.

24. კარგი იქნება, თუ უსდ სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით; ამგვარად გაიზრდება კომუნიკაცია ხელოვნების სივრცის წარმომადგენლებთან.

25. ფსიქოლოგის შტატი ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.

26. მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

## **4.3. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

27. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მის პერსონალში წახალისოს ინგლისური ენის ტრენინგები.

28. მიზანშეწონილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოიძიოს სახსრები და შეიმუშაოს აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური წახალისების პაკეტი.

## **4.4 კომპონენტი :**

### **კლასტერი :**

29. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მთელი ძალისხმევა დაუთმოს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებას და გაამდიდროს ის თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი (მაგ., ინგლისური გერმანული, ფრანგული) ლიტერატურით. რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში)

**30. რეკომენდებულია**, რომ უნივერსიტეტმა გამოიყენოს დამატებითი რესურსები თავისი პერსონალისა და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად

#### **4.5. კომპონენტი**

##### **კლასტერი:**

31. შემუშავდეს ინდივიდუალური ბიუჯეტი თითოეული ინდივიდუალური პროგრამისთვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას.

32. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს სახსრების მოზიდვის სტრატეგია პროგრამების ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.

#### **5.1. კომპონენტი:**

##### **კლასტერი:**

33. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან ერთად უნდა შეიმუშაოს არა მხოლოდ აღწერილობითი, არამედ უფრო ანალიტიკური თვითშეფასების ანგარიში და ერთად იმუშაონ პროგრამების სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

#### **5.2. კომპონენტი:**

##### **კლასტერი:**

34. განხორციელდეს გარე კოლეგიალური შეფასებები ცნობილ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული უცხოელი კოლეგებისგან ყველა პროგრამისთვის.

35. შემუშავდეს გარე კოლეგიური შეფასების დეტალური, წინასწარ განსაზღვრული ფორმები.

#### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატროლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატროლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

#### **საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები :**

## რეკომენდაციები

### 1.2 კომპონენტი

#### პროგრამული :

1. სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა, რათა ისინი გაზომვადი გახდეს.

### 1.3. კომპონენტი

#### პროგრამული :

1. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

### 1.4 კომპონენტი

#### კლასტერი:

2. კვლევის ხარისხის ამაღლება როგორც პერსონალის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინდივიდუალური კვლევის დონეზე.

#### პროგრამული :

3. უზრუნველყავით, რომ მიღწევების დონე შეესაბამებოდეს მაგისტრატურაში სწავლის დონეს და არ გაიმეორდეს ბაკალავრის დონის შინაარსი.

4. უზრუნველყავით თანამედროვე თეატრისა და დრამის თეორიების დისკურსის არსებობა.

### 1.5 კომპონენტი

#### კლასტერი :

5. განაახლეთ ლიტერატურა უახლესი წიგნებით, რომლებიც ეხება თეატრის, კინოსა და ცეკვის თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას.

#### პროგრამული :

6. საშემსრულებლო ხელოვნებისთვის, დარგობრივი კვლევის მეთოდების შემოტანა.

7. რეკომენდებულია გადაიხედოს „ქართული თეატრის ისტორიის“ მოდულში არსებული სასწავლო კურსების მიზანი და სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, ხოლო სასწავლო კურსებს „სპექტაკლის ანალიზი 1“, „სპექტაკლის ანალიზი 2“ და „სპექტაკლის ანალიზი 3“ განესაზღვროს წინაპირობები.

### 4.3 კომპონენტი

#### კლასტერი:

8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურ პროფესიულ განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმის შექმნას და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას.

### 4.4 კომპონენტი

#### კლასტერი:

9. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ჰქონდეს ყველა აუცილებელი (ძირითადი) ლიტერატურა და წიგნები, რომლებიც მითითებულია კურსების სილაბუსებში.

### 5.3 კომპონენტი

#### კლასტერი:

10. რეკომენდებულია, ხარისხის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფად

## **რჩევები:**

### **1.1 კომპონენტი**

#### **კლასტერი:**

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნების სიტყვიერი ფორმულირება, რათა უფრო ზუსტად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებს შორის.
2. პროგრამის მიზნები სასურველია უფრო მეტად დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს.
3. შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრობლემების მხედველობაში მიღება.

#### **პ რ ო გ რ ა მ უ ლ ი :**

4. მიზნების უფრო ნათლად და სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება.

### **1.2. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

5. სწავლის შედეგების განვითარების პროცესში მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

#### **პროგრამული :**

6. სწრაფვა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისკენ და არა ცოდნის დაგროვებისკენ.

### **1.3. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

7. შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად.
8. პროგრამის ერთი სასწავლო შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან გამოიყენეთ კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა.

#### **პროგრამული :**

9. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

### **1.4 კომპონენტი.**

#### **კლასტერი :**

10. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის დამყარებით.
11. შეიტანეთ მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა.
12. ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა.

### **2.1. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

13. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში დაიწეროს მეტი ყურადღებით, რაც უკეთესად მოგვაწვდის ინფორმაციას პროგრამების შესახებ და თავიდან იქნება აცილებული ტექნიკური ხარვეზები.

14. სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სამაგისტრო გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის განკუთვნილი ტესტებისა და კითხვების ნიმუშები.

## **2.2. კომპონენტი**

### **კლასტერი:**

15. გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

16. საჭიროა კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

## **2.3. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

17. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროგრამების მოწვეული მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტმა გააგრძელოს ტრენინგები სწავლებისა და სწავლის მეთოდების მიმართულებით.

## **2.4. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

18. სასურველია, რომ სილაბუსში, 25-ქულიანი დავალებების კომპონენტში, დაზუსტდეს ცალკეული დავალების წილი, ქულები და შეფასების მექანიზმი.

## **3.1. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

19. სასურველია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი გახადოს სწავლებისა და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი (მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციების დროს, მეტი პრაქტიკა ანსამბლებში და ა.შ.). კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების მეტი შესაძლებლობა.

20. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაიზარდოს დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის მასშტაბი.

21. კარგი იქნება, თუ უსდ სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით; ამგვარად გაიზრდება კომუნიკაცია ხელოვნების სივრცის წარმომადგენლებთან.

22. ფსიქოლოგის შტატი ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.

23. მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

## **3.2 კომპონენტი**

### **კლასტერი :**

24. აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან, მისცენ რჩევები და რეკომენდაციები აკადემიური წერის ნორმების შესახებ;

25. მიზანშეწონილი იქნებანაშრომის შესაძლო ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა;

26. სასურველია კვლევით პროექტებში ხელმძღვანელების ჩართულობის გაძლიერება.

## **4.3. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

27. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მის პერსონალში წახალისოს ინგლისური ენის ტრენინგები.

28. მიზანშეწონილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოიძიოს სახსრები და შეიმუშაოს აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური წახალისების პაკეტი.

#### **4.4 კომპონენტი :**

##### **კლასტერი :**

29. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მთელი ძალისხმევა დაუთმოს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებას და გაამდიდროს ის თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი (მაგ., ინგლისური გერმანული, ფრანგული) ლიტერატურით. რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში)

30. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გამოიყენოს დამატებითი რესურსები თავისი პერსონალისა და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად

#### **4.5. კომპონენტი**

##### **კლასტერი:**

31. შემუშავდეს ინდივიდუალური ბიუჯეტი თითოეული ინდივიდუალური პროგრამისთვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას.

32. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს სახსრების მოზიდვის სტრატეგია პროგრამების ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.

#### **5.1. კომპონენტი:**

##### **კლასტერი:**

33. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან ერთად უნდა შეიმუშაოს არა მხოლოდ აღწერილობითი, არამედ უფრო ანალიტიკური თვითშეფასების ანგარიში და ერთად იმუშაონ პროგრამების სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

#### **5.2. კომპონენტი:**

##### **კლასტერი:**

34. განხორციელდეს გარე კოლეგიალური შეფასებები ცნობილ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული უცხოელი კოლეგებისგან ყველა პროგრამისთვის.

35. შემუშავდეს გარე კოლეგიური შეფასების დეტალური, წინასწარ განსაზღვრული ფორმები.

#### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის “თეატროლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის “თეატროლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები :  
**რეკომენდაციები**

### **1.2 კომპონენტი**

**პროგრამული :**

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა.

### **1.3. კომპონენტი**

**პროგრამული :**

1. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

### **1.5 კომპონენტი**

**კლასტერი :**

5. განაახლეთ ლიტერატურა უახლესი წიგნებით, რომლებიც ეხება თეატრის, კინოსა და ცეკვის თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას.

### **4.3 კომპონენტი**

**კლასტერი:**

8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურ პროფესიულ განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმის შექმნას და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას.

### **4.4 კომპონენტი**

**კლასტერი:**

9. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ჰქონდეს ყველა აუცილებელი (ძირითადი) ლიტერატურა და წიგნები, რომლებიც მითითებულია კურსების სილაბუსებში.

### **5.3 კომპონენტი**

**კლასტერი:**

10. რეკომენდებულია, ხარისხის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფად

**რჩევები:**

## 1.1 კომპონენტი

### კლასტერი:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნების სიტყვიერი ფორმულირება, რათა უფრო ზუსტად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებს შორის.
2. პროგრამის მიზნები სასურველია უფრო მეტად დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს.
3. შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრობლემების მხედველობაში მიღება.

## 1.2. კომპონენტი:

### კლასტერი:

4. სწავლის შედეგების განვითარების პროცესში მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

## 1.3. კომპონენტი:

### კლასტერი:

5. შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად.
6. პროგრამის ერთი სასწავლო შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან გამოიყენეთ კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა.

### პროგრამული :

7. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

## 1.4 კომპონენტი.

### კლასტერი :

8. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის დამყარებით.
9. შეიტანეთ მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა.
10. ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა.

## 1.5 კომპონენტი.

### პროგრამული :

11. თანამედროვე ანალიზის მეთოდების სილაბუსში ჩართეთ საშემსრულებლო კვლევის უახლესი მეთოდები.
12. განიხილეთ, თანამედროვე ანალიზის მეთოდების კურსის სასწავლო პროგრამაში უფრო ადრე შემოტანის შესაძლებლობა.

## 2.1. კომპონენტი:

### კლასტერი:

13. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში დაიწეროს მეტი ყურადღებით, რაც უკეთესად მოგვაწვდის ინფორმაციას პროგრამების შესახებ და თავიდან იქნება აცილებული ტექნიკური ხარვეზები.
14. სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სამაგისტრო გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის განკუთვნილი ტესტებისა და კითხვების ნიმუშები.

## 2.2. კომპონენტი

### კლასტერი:



15. გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

16. საჭიროა კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

### **2.3. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

17. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროგრამების მოწვეული მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტმა გააგრძელოს ტრენინგები სწავლებისა და სწავლის მეთოდების მიმართულებით.

### **2.4. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

18. სასურველია, რომ სილაბუსში, 25-ქულიანი დავალებების კომპონენტში, დაზუსტდეს ცალკეული დავალების წილი, ქულები და შეფასების მექანიზმი.

### **3.1. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

19. სასურველია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი გახადოს სწავლებისა და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი (მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციების დროს, მეტი პრაქტიკა ანსამბლებში და ა.შ.). კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების მეტი შესაძლებლობა.

20. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის მასშტაბი.

21. კარგი იქნება, თუ უსდ სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით; ამგვარად გაიზრდება კომუნიკაცია ხელოვნების სივრცის წარმომადგენლებთან.

22. ფსიქოლოგის შტატი ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.

23. მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

### **3.2 კომპონენტი**

#### **კლასტერი :**

24. აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან, მისცენ რჩევები და რეკომენდაციები აკადემიური წერის ნორმების შესახებ;

25. მიზანშეწონილი იქნებანაშრომის შესაძლო ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა;

26. სასურველია კვლევით პროექტებში ხელმძღვანელების ჩართულობის გაძლიერება.

### **4.3. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

27. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მის პერსონალში წახალისოს ინგლისური ენის ტრენინგები.

28. მიზანშეწონილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოიძიოს სახსრები და შეიმუშაოს აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური წახალისების პაკეტი.

### **4.4 კომპონენტი :**

## **კლასტერი :**

**29. რეკომენდებულია,** რომ უნივერსიტეტმა მთელი ძალისხმევა დაუთმოს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებას და გაამდიდროს ის თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი (მაგ., ინგლისური გერმანული, ფრანგული) ლიტერატურით. რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში)

**30. რეკომენდებულია,** რომ უნივერსიტეტმა გამოიყენოს დამატებითი რესურსები თავისი პერსონალისა და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად

## **4.5. კომპონენტი**

### **კლასტერი:**

31. შემუშავდეს ინდივიდუალური ბიუჯეტი თითოეული ინდივიდუალური პროგრამისთვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას.

32. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს სახსრების მოზიდვის სტრატეგია პროგრამების ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.

## **5.1. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

33. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან ერთად უნდა შეიმუშაოს არა მხოლოდ აღწერილობითი, არამედ უფრო ანალიტიკური თვითშეფასების ანგარიში და ერთად იმუშაონ პროგრამების სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

## **5.2. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

34. განხორციელდეს გარე კოლეგიალური შეფასებები ცნობილ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული უცხოელი კოლეგებისგან ყველა პროგრამისთვის.

35. შემუშავდეს გარე კოლეგიური შეფასების დეტალური, წინასწარ განსაზღვრული ფორმები.

## **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „**კინომცოდნეობის**“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის

N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კინომცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

**საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები :**  
**რეკომენდაციები**

### **1.3. კომპონენტი**

**პროგრამული :**

1. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

### **1.5 კომპონენტი**

**კლასტერი :**

2. განაახლეთ ლიტერატურა უახლესი წიგნებით, რომლებიც ეხება თეატრის, კინოსა და ცეკვის თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას.

**პროგრამული :**

3. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების სისტემატური და ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება. მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული კურსის გასავლელად.

4. რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - რაციონალურად განისაზღვროს კრედიტების რაოდენობას კურსისა და შესასრულებელი დავალებების სირთულის შესაბამისად.

5. რეკომენდებულია „კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების“ სწავლება ჩამოთვლილი კურსების პარალელურად: „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - რათა კურსი დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული დავალებების მომზადებაში.

6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - მიზნებისა და შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება.

7. ზემოაღნიშნული კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურას უნდა დაემატოს მხატვრული და დოკუმენტური კინოს შესახებ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.

8. რეკომენდებულია სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში ფრაზა „მასწავლებლის მიერ მოწოდებული მასალა“ შეიცვალოს კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსით და განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

### **4.3 კომპონენტი**

**კლასტერი:**

9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურ პროფესიულ განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმის შექმნას და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას.

### **4.4 კომპონენტი**

**კლასტერი:**

10. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ჰქონდეს ყველა აუცილებელი (ძირითადი) ლიტერატურა და წიგნები, რომლებიც მითითებულია კურსების სილაბუსებში.

### **5.3 კომპონენტი**

#### **კლასტერი:**

11. რეკომენდებულია, ხარისხის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფად

#### **რჩევები:**

#### **1.1 კომპონენტი**

##### **კლასტერი:**

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნების სიტყვიერი ფორმულირება, რათა უფრო ზუსტად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებს შორის.

2. პროგრამის მიზნები სასურველია უფრო მეტად დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს.

3. შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრობლემების მხედველობაში მიღება.

##### **პროგრამული :**

4. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

#### **1.2. კომპონენტი:**

##### **კლასტერი:**

5. სწავლის შედეგების განვითარების პროცესში მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

#### **1.3. კომპონენტი:**

##### **კლასტერი:**

6. შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად.

7. პროგრამის ერთი სასწავლო შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან გამოიყენეთ კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა.

##### **პროგრამული :**

8. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

#### **1.4 კომპონენტი.**

##### **კლასტერი :**

9. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის დამყარებით.

10. შეიტანეთ მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა.

11. ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა.

## **პროგრამული :**

12.სასურველია სტუდენტებს შევთავაზოთ დამატებითი უცხო ენების არჩევითი კურსები, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, ასევე სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისთვის.

13.სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის „კინოარქივის საქმე“ გადაიტანოთ საბაზისო კურსების ბლოკში, რადგან სასწავლო კურსით მოწოდებული საარქივო დოკუმენტებისა და კინომასალის შესწავლა და დამუშავება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ წარსულისა და მიმდინარე მოვლენების შეფასებას, ასევე კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

14.**რეკომენდებულია**, რომ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010 წწ.)“, - დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის სათანადო დონე.

15.მომავალი კინოს მცოდნის პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია არჩევითი სასწავლო კურსი „კინემატოგრაფიული ხელოვნების დიზაინი“ გადავიდეს საბაზისო კურსების ბლოკში. ასევე, ამავე ბლოკისთვის მომზადდეს სასწავლო კურსი „მუსიკა კინოში“

## **1.5 კომპონენტი.**

### **პროგრამული :**

16. მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.

17. სასწავლო კურსის „სხვა ევროპული ქვეყნებისა და აზიის კინო, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი 1930-1960 წწ.“ თემატიკა აზიური ფილმებიდან მოიცავს მხოლოდ იაპონურ კინოს . სასწავლო კურსის სათაურიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია თემატიკაში ზოგადად აზიის სხვა ქვეყნების კინემატოგრაფიის ჩართვა.

18. უნდა გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „კინომცოდნეობის შესავალი“, „კინომცოდნეობის საფუძვლები და კინოს თეორია“, „კინოთეორიის კლასიკა და კინოენის ჩამოყალიბება“, „კინოს ჟანრები და მხატვრული ტენდენციები“, „ახალი კინოს მიმართულებები და კინოთეორიები“, „კინოკრიტიკა და კინოჟურნალისტიკის სპეციფიკა (ბეჭდურ, ტელე და ელექტრონულ მედიაში)“, „კინო ფილოსოფიური თეორიების ასპექტი“, „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010)“ და გრაფაში „შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“ სიტყვა „დოქტორანტი“ შეიცვალოს „ბაკალავრიატის სტუდენტი“.

## **2.1. კომპონენტი:**

### **კლასტერი:**

19. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში დაიწეროს მეტი ყურადღებით, რაც უკეთესად მოგვაწვდის ინფორმაციას პროგრამების შესახებ და თავიდან იქნება აცილებული ტექნიკური ხარვეზები.

20. სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სამაგისტრო გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის განკუთვნილი ტესტებისა და კითხვების ნიმუშები.

## **2.2. კომპონენტი**

### **კლასტერი:**

21.გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

22. საჭიროა კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

### **2.3. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

23. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროგრამების მოწვეული მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტმა გააგრძელოს ტრენინგები სწავლებისა და სწავლის მეთოდების მიმართულებით.

### **2.4. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

24. სასურველია, რომ სილაბუსში, 25-ქულიანი დავალებების კომპონენტში, დაზუსტდეს ცალკეული დავალების წილი, ქულები და შეფასების მექანიზმი.

### **3.1. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

25. სასურველია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი გახადოს სწავლებისა და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი (მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციების დროს, მეტი პრაქტიკა ანსამბლებში და ა.შ.). კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების მეტი შესაძლებლობა.

26. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის მასშტაბი.

27. კარგი იქნება, თუ უსდ სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით; ამგვარად გაიზრდება კომუნიკაცია ხელოვნების სივრცის წარმომადგენლებთან.

28. ფსიქოლოგის შტატი ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.

29. მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

### **3.2 კომპონენტი**

#### **კლასტერი :**

30. აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან, მისცენ რჩევები და რეკომენდაციები აკადემიური წერის ნორმების შესახებ;

31. მიზანშეწონილი იქნებანაშრომის შესაძლო ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა;

32. სასურველია კვლევით პროექტებში ხელმძღვანელების ჩართულობის გაძლიერება.

### **4.3. კომპონენტი:**

#### **კლასტერი:**

